ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** ოთხშაბათი, 12 დეკემბერი № 1668

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372.

ალექსი ბეს რიონის მე და ეფროსინე იაკობის ასული შაჩანამეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 14 დეკემბერს იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვიდი ქოლევის წმ. გიორგის ეკლესიაში ხათი დაუვიწყარი და ნორჩი ქალის

ბ ე ტ ა ს

სულის მოსახსენებლად. (1—1).

ხუთშაბათს, 13 დეკა **ქართული თეატრი** **მზერს 1901 წელს**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

« **მ. ა. აბაშიძის საბენეფისოდ** »

პირველად ახალი პიესა

I

უცნაური ხაფანგი

კომედია 3 მოქ. თხზ. ნ. გ. ც.

II

რაინდი უშიშარი და უმეროო

ოპერეტა 2 მოქმედებად მუსიკა ზუპპესი, თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე.

ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება „შედაგოგები“, „ბორკილი“ და „გაცრეცილი ფოსტა“. რეჟისორი **მ. ზუნია.**

შრომის მოყვარეობის ტფილისის სახლში

15 დეკემბრიდან 23-მდე გაიყიდება **თოთრიეული და ტანისამოსი.** სახლის ადრესი: ნიკოლოოზის ქუჩა, **№ 100**, ინტენდანტსტვოს პირდაპირ. (5—1).

გამოვიდა და იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში:

საქართველოს რუსეთთან შეერთება

(რუსულად)

მახ. ხელთუფლიშვილისა,

ფასი 40 კაპ.

ვინც ნაღდ ფულზე გამოიწერს არა ნაკლებ ათ ცალს, წიგნი დაეთმობა 30 კაპ. და ჩვენი ხარჯითაც გაეგზავნება—ადრესი. ქუთაისი, ალ. არაბიძე. (5—5.—4)

ე ქ ი მ ი

კ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი **№ 92.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. ზ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი ქალთა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოლები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ტელეფონი № 274. (წლ.)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, **№ 16**, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

10 დეკემბერი

პეტერბურგი. პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძის ოლდენბურგელის და მისის მეუღლის პრინცესა ევგენიას თანადასწრებით მოხდა სადღესასწაულო წლიური კრება ექსპერიმენტალური მედიცინის საიმპერატორო ინსტიტუტისა. 1900 და 1901 წლების ინსტიტუტის მოქმედების ანგარიშიდან, რომელიც ინსტიტუტის დირექტორმა ლუკიანოვმა წაიკითხა, სჩანს, რომ ამ ხნის განმავლობაში ინსტიტუტი შესდგებოდა შვიდი განყოფილებისაგან; ამ განყოფილებებში იყო 74 სამეცნიერო გამოკვლევა და დამზადდა 1270 შუშა კუჭის წვენი, 23471 მალეინი, 29547 ტუბერკულინი, აგრეთვე პასტერის გამოგონებით სიცოფილისაგან გადაურჩენიათ 1061 კაცი, ერთი მომკვდარა. უმთავრესი განყოფილების გარდა, ინსტიტუტი შესდგებოდა კიდევ ხუთი დამატებითი დაწესებულებისაგან, რომელთაც წარმოადგინეს 19 სამეცნიერო ცნობა და მოამზადეს 56.261 შუშა დიფტერიტის შრატი და 100,000-დე ხავკინის შავი ჭირის ლიმფის ასაცრელი; ამ განყოფილებებში მომუშავე 83 კაცი იყო. შემდეგ ექიმ ლონგის წაკითხულ სინათლით სარჩენელ კაბინეტის მოქმედების ანგარიშისა, აღმოჩნდა, რომ, როგორც გამოცდილებამ დაამტკიცა, ძვლის სიჭლექის მორჩენაში ყველა მეტოდებზე უებარია სინათლით ექიმობა, ფინზენის გამოგონებით.

კიევი. 9 დეკემბერს, 4 საათ. და 50 წამ დღისა კიევო-ვორონეჟის რკინის გზით მობძანდა მათი უმაღლესობანი დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მეუღლით. უმაღლესს სტუმართ მიეგებნენ კიევის გენერალ-გუბერნატორი, გუბერნატორი, გენერლობა, წარმომადგენელნი სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა და მრავალი საზოგადოება. ქალაქის თავმა მიართვა პურ-მარილი, ხოლო გენერალ-გუბერნატორის და გუბერნატორის მეუღლეებმა მიართვეს დიდ მთავრინას თაიგულები. ვოკზალიდან უავგუსტოესი უფროსი სამხედრო სასწავლებლებისა წაბძანდა კადეტთა კორპუსში საღამოს ლოცვაზედ დასასწრებლად, კორპუსის 50 წლის საიუბილეო დღესასწაულის გამო; ხოლო დიდი მთავრინა წაბძანდა პოკროვსკის დედათა მონასტერში, სადაც უმაღლესს სტუმრებს ექმნებათ ბინა. გზაზედ აღტაცებულის „ვაშას“ ძახილით ეგებებოდა ხალხი მათ უმაღლესობათ.

პადერბორნი. ოფიციალურად. სულ იპოვნეს მოკლული 12; მძიმედ დაჭრილთაგანი არავინ არ მომკვდარა. გაზეთების ცნობები, რომ ვითომ დამსხვრეულს ვაგონებში გაზმა იფეთქა და ხალხი ცოცხლივ დაიწვა, მართალი არ არის. ორთქლმავალის გალვიებულის ნახშირით გაუჩნდა ცეცხლი იმ ვაგონს, რომელსაც ორთქლ-მავალი დაეტაკა. რამდენიმე მოკლულის გვამი, რომელნიც ორთქლ მავალის ქვეშ მოჰყვნენ, გაირუჯნენ.

ქრისტიანია. მეფემ მიიღო შვედების მკვლევარის გედინისაგან, რომელიც სამეცნიერო აზრით მოგზაურობს, ტელეგრამმა კაშემირიდან: „ტიბეტში მოულოდნელის მარჯვე მოგზაურობის წყალობით მლოცავის ტანისამოსით, მივუახლოვდით ქალაქ ლიასეს. აქ მე მიცნეს და მთავრობის ბძანებით დამატუსაღეს. მე ძალიან შესანიშნავი რამეები აღმოვაჩინე, ქარავანი თუმცა სრულიად დავკარგე, ექსპედიციის ნაღვაწი კი გადავარჩინეთ. რაკი ბრიტანიის მიჯნას მივუახლოვდი, ვიცე-კოროლის ბრძანებით, დიდის პატივის ცემით დამხვდნენ, გულითადი მასპინძლობა გამიწიეს“.

რომი. პალატამ ხმის უმეტესობით მიიღო წინადადება შესახებ საფინანსო ზომებისა და თავის კრებები გადასდო სხვა დროსთვის.

ბუენოს-აირესი. მას შემდეგ, რაც არგენტინის მთავრობის ყველა კეთილსასურველმა ცდამ ჩილისთან მეგობრულად შეთანხმებისამ საზღვრების გამო ფუჭად ჩაიარა, ჩილის რესპუბლიკაში მღელვარება მოხდა. ჩილი თხოულობს, რომ არგენტინის მთავრობამ ხელი აიღოს ზოგიერთ ოლქებზე, რომლებიც ეხლა არგენტინას ეკუთვნიანო. არგენტინის მთავრობამ სთხოვა ჩილის, ჩვენი დავა მორიგებით გავათავეთო, მაგრამ ჩილიმ უარ-ჰყო ეს თხოვნა. არგენტინის მთავრობას ეწყინა ჩილის ამაყი ქცევა და ამიტომ თავისი ელჩი ჩილიდან შინ დაიბარა. თუმცა დიდი შიშია, მაინც კიდევ იმედია, რომ საქმე ომამდე არ მივა. ბუენოს-აირესის ქუჩებს ხალხითაა გაჭედილი. ხალხი ყველაფერში ამართლებს არგენტინის მთავრობას.

პარიზი. 9 დეკემბერს, დიდ-ძალი ხალხის თანადასწრებით, ერის წარმომადგენლის ბოდენის ძეგლი უკურთხეს. ბოდენი 1851 წელს ბარიკადებზე მოკლეს. კურთხევას დაესწრნენ: პრეზიდენტი ლუბე, ყველა მინისტრები, სენატისა და პალატის დეპუტატები და პარიზის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე დოსე საბჭოს სამი წევრით. პალატამ სასტიკი ღონის-ძიება მიიღო, რადგანაც ეშინოდათ, ხალხმა მანიფესტაცია არ გამართოსო. როცა ძეგლს ფარდა აჰხადეს, პალატის თავმჯდომარემ დეშანელმა და პირველმა მინისტრმა ვალდეკ-რუსომ სიტყვები წარმოსთქვეს და ბოდენი ქებით მოიხსენიეს. ხალხმა ძლიერის ტაშის ცემით დააჯილდოვა ორატორები. როცა დეშანელმა მკაცრად დაჰგმო და გაჰკიცხა ცეზარიზმი, ხალხმა დაიძახა: „რესპუბლიკას გაუმარჯოს, ნაციონალიზმი დაიღუპოს!“ ლუბე და ვალდეკ რუსო წავიდნენ მოედნიდან, სადაც ძეგლია დადგმული. ხალხი გულ-მხურვალედ ეგებებოდა ორივეს. მაშინ ძეგლთან დოსე მივიდა და სიტყვა წარმოსთქვა, თუმცა დოსე არ ეწერა ორატორების ოფიციალურ სიაში. დაიწყო თუ არა დოსემ ლაპარაკი, ხალხმაც ყვირილი დაიწყო: „დაიღუპოს დოსე!“ „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ მალე პოლიცია მივიდა, დოსეს შემოეხვია და ძლივს ძლივობით გაიყვანა ხალხიდან. ხალხი როგორც დოსეს, ისე საბჭოს სამ წევრს მეტად მტრულად უყურებდა. დოსე პოლიციამ გააცილა. როცა დოსე ეტლში ჩაჯდა, საბჭოს წევრი-სოციალისტები გარს შემოეხვივნენ დოსეს და თან გაჰყვნენ. ხალხი კიდევ ყვიროდა: „დაიღუპოს დოსე!“ „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ ეტლს გზა არ მისცეს, სანამ საქალაქო გვარდია არ მოეშველა. დოსეს სოციალისტებს გარდა მისი მომხრეებიც მისდევდნენ. ამის შემდეგ ისეთი ამბავი აღარა მომხდარა რა. პოლიციამ ხალხს ნება არ მისცა, რომ ახლო-მახლო ქუჩებში შეკრებილიყო.—როცა ლუბე ძეგლის მოედანზე მოვიდა, მე-12 ოლქის ქალაქის თავი სიტყვით მიესალმა. პრეზიდენტმა უპასუხა: მე მოველ, რომ მონაწილეობა მივიღო ბოდენის სადიდებლად გამართულ დღესასწაულში, ბოდენმა თავისი თავი რესპუბლიკას შესწირა. მაშინდელმა პრეზიდენტმა საზიზღრად უღალატა რესპუბლიკას, თუმცა კი თითონვე წინად ერთგულება შეჰფიცა. ლუბემ დაუმატა: თუმცა მაგისთანა ფიცი არ მიმიღია, მაგრამ ჩვენი ხალხის წინაშე მოვალეობა ვიკისრე და ამ მოვალეობას არას დროს არ ვუღალატებო. ვინც უნდა გაბედოს ეხლა რესპუბლიკის დამხობა და გამეფება, ვერას გახდება. მთავრობაც და ყველა რესპუბლიკელებიც თავ-დადებით იცავენ ჩვენ რესპუბლიკას. დოსეს ძეგლის წინ ეთქვა: „პარიზის სახელით, ბოდენის ძეგლს უპატრონებთ. ბოდენი მოკვდა ერისა, რესპუბლიკისა და თავისუფლებისათვის!“

ლონდონი. სასახლის წრეები ამბობენ, მეფე-დედოფალი სანდრანგემში აღარ წავლენ, რადგანაც დედოფალი ავადაა.

ერივანი. გუმბრ-ერევნის რკინის გზის აშენებას მალე დაასრულებენ. სამუშაო მატარებლები თითქმის ერევნამდე მოდიან.

პეკინი. რუსეთის ელჩი ლესარი, პრინცი ცინი და ვეჰვენჩაო ერთმანეთთან სადარბაზოდ იყვნენ.

ვალპარაიზო. არგენტინის რესპუბლიკამ ნაშუადღევს თავისი ელჩი დაიბარა სანტ-იაგოდან. დიპლომატიური ურთიერთობა ჩილისა და არგენტინას შუა მაინც არ შეწყვეტილა. საქმეებს საელჩოების მდივნები ჰმართვენ.

ვარშავა. ადგილობრივმა მთავრობამ უარჰყო ზოგიერთი ვაჭრის თხოვნა იმის შესახებ, რომ კონტორა დაწესდესო იმ აზრით, რომ ვაჭრების შეძლების შესახებ ცნობები შეკრიბოსო.—ვარშავის ბირჟის კომიტეტმა ფინანსთა სამინისტროს სთხოვა ადგილობრივი ვაჭრობის სასარგებლოდ დამოჟნა სკალმბერჟიდან კალიშში გადაიტანეთო.

ხარკოვი. 9 დეკემბერს ოლქის სასამართლოში აზნაური სტავროვსკის საქმე გაარჩიეს. სტავროვსკის ჰბრალდება, რომ ხარკოვის სააქციონერო მატყლით მოვაჭრე ამხანაგობის 118 ათასი მანათი გაფლანგაო. სასამართლომ ყოველი უფლება აჰხადა სტავროვსკის და ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა 1 წლ. და 4 თვის ვადით.

ქრისტიანია. დღეს მინისტრების საბჭოში სახელმწიფო საბჭოს წევრი სპაარე ნორვეგიის ფლოტის ვიცე-ადმირალად დაინიშნა. სპაარეს მაგივრად სახელმწიფო საბჭოს წევრად პალატის წევრი ინჟინერი ჰუნარ კნუდსენი დაინიშნა.

ვანბურგი (ორანჟეს რესპუბლიკა). ბურების სარდალი ჰაასბრუკი მოკლეს 9 დეკემბრის ბრძოლაში. ეს ბრძოლა ინგლისელებთან დორენბერგში მოუხდათ.

ჰამბურგი. „ჰამბურგ კორესპონდ“. სწერს: გემ „ხიოსზე“, რომელიც ლევანტის საზოგადოებას ეკუთვნის, შავის ჭირისაგან მო-

მკვდარი ვირ-თაგვა იპოვესო. გემი დაუყონებლივ განაცალკევეს და წამლები დაასხეს. კაცი ავად არავინ გამხდარა.

მადრიდი. ლისაბონიდან იუწყებიან: მოზამბიკისა და კაპის კოლონიის გუბერნატორებმა პირობა შეკრეს იმ საქონლის შესახებ, რომელიც ტრანსვაალში შეაქვთ. პირობაში ტრანსვაალი ისეა მოხსენებული, როგორც ინგლისის კოლონია. რამდენიმე გაზეთი ჰკიცხავს პორტუგალიის მთავრობას მაზე, რომ მარტო ამ მთავრობამ სცნა ტრანსვაალი ინგლისის ნაწილადაო.

ტომსკი. გარდაიცვალა ცნობილი მწერალი ნიკოლოოზ ივანეს ძე ნაუმოვი.

ტიუმენი. იალუტროვსკში ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე სოფელ პადუნში მცხოვრებელი 44 გლეხი-კაცისა, რომლებსაც მოხელეებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ. 4 დღეს მოუნდნენ ამ საქმის გარჩევას; 105 მოწმე იყო დაბარებული. 7 კაცს სატუსაღო რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტეს 1—2 წლის ვადით; 13 კაცს—გაპატიმრება 3 კვირის ვადით; დანარჩენი დაამართლეს. დასჯილებში ციმბირში დასასჯელად გამოგზავნილი 6 კაციც ურევია.

რეველი. გარიყულ გემს „გლენპელს“ უშველეს და კრონშტადში მიიყვანენ

ვალპარაიზო. ხალხი ძლიერ აღელვებულია. პროკლამაცია გამოსცეს ჩილში გასავრცელებლად. ამ პროკამაციის ძალით ყოველ დათხოვნილ ჯარის-კაცსა და ოფიცრებს სამსახურში იწვევენ.

სტანდერტანი. მოელიან, რომ მებრძოლ ბურებს მალე სჯა-ბაასი ექნებათ იმის გამოსარკვევად, რომ დანებდნენ ინგლისელთ. წარსულ კვირაში 30 ბური დანებდა ინგლისელთ. 200-ზე მეტი აქაური მოქალაქე ჩაეწერა საეროვნო ჯარში.

ლონდონი. არგენტინის რესპუბლიკის აქაურ საელჩოს დეპეშით ატყობინებენ, რომ არგენტინას გარდაუწყვეტია მოსპოს დიპლომატიური ურთიერთობა ჩილის რესპუბლიკასთან და შუამავლობა სთხოვოს ინგლისს. ამ გარდაწყვეტილებით არ ისპობა მშვიდობიანობა არგენტინისა და ჩილის შუა.—კიტჩენერმა გამოგზავნა მეორე მოხსენება, რომელშიაც აღნიშნულია ფაქტები ბურებისაგან ადგილობრივ მკვიდრთა დახვრეტისა. 16 ამ გვარ შემთხვევის შესახებ დაწვრილებით ცნობებს იწერება. გარდა ამისა ერთხელ, 1900 წ. ნოემბერსა თუ დეკემბერში ერთი მკვიდრი ცოცხლად დასწვეს ბურებმაო. შემდეგ კიტჩენერი იტყობინება, რომ ბურებმა 37 მკვიდრი მოჰკლეს კიმბერლეის ახლო და ერთიც ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ. სულ 14 თვის განმავლობაში ბურებმა 23 მკვიდრი მოჰკლესო.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. დეპეშებმა მოკლედ გადმოგვცეს როზბერის სიტყვა. გაზეთებში კი ჯერ არაა დაბეჭდილი პირველ მინისტრად ნამყოფის ნალაპარაკევი, მაგრამ სჩანს, რომ როზბერის ნათქვამს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მთელ ინგლისზე. თურმე ყველა მოუთმენლად ელოდა, რას იტყვის გლადსტონის მოადგილეო. გაზეთები სწერენ: 15 ათასზე მეტმა კაცმა მოინდომა ჩესტერფილდში ნადიმზე წასვლა, მაგრამ დარბაზში, სადაც როზბერიმ ილაპარაკა, ორი ათასი მსმენელი ძლივს დაეტია. ამიტომ როზბერის პირობა ჩამოართვეს, რომ მეორე ნადიმზე გაემეორებინა თავისი სიტყვა. ფოსტისა და ტელეგრაფის მმართველობამ წინადვე თადარიგი დაიჭირა, რომ როზბერის ნალაპარაკევი ყველა ინგლისურ გაზეთებში და საზღვარგარედ დროზე გადაეცათ. ბევრი ტელეგრაფის მავთული ქარიშხალისაგან იყო იმ დღეებში გაფუჭებული, ფოსტის მმართველობას ძლიერ გაუჭირდა ეს საქმე. ჯერ როზბერის არ ელაპარაკნა, რომ «ტაიმს»-მა და «დეილი ნიუს»-მა მოწინავე წერილები უძღვნეს როზბერის ნალაპარაკევს.

სამხრეთ-აფრიკა. გაზეთი «ფრანსე» სწერს, პრეზიდენტს კრიუგერს ბოტასაგან წერილი მიუღიათ. ბოტა ატყობინებს პრეზიდენტს: თავისუფალ (ორანჟის) სამხრეთ-აფრიკის (ტრანსვაალის) რესპუბლიკებში და კაპის კოლონიაში სულ 24,000 მეომარი კაცი გვყავს, ამათში 14,000 კარგად გაწვრთნილია და 10,000 ახალი ჯარის-კაცია, ეს ახალი ჯარი მომეტებულ ნაწილად კაპელი კოლონისტები არიანო. საკვები სურსათი ბურებს ჭარბად აქვთ. ეს საკვები ზოგი ჯერ კიდევ თავისუფალ ოლქებიდან აქვთ მოტანილი, ზოგი კიდევ ინგლისელებს წაართვეს. ბურებს დღეს უფრო მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, რომ ბოლომდე იბრძოლონ. ბურები არც ინგლისის პროტექტორატს (მფარველობას) დასთანხმდებიან, არც რაიმე მსგავს ავტონომიას. თავისუფალ მოქალაქეებს გადაწყვეტილი აქვთ: ან ჰო, ან, არაო, ან სრული დამოუკიდებლობა უნდა შერჩეს ჩვენ თავისუფალ რესპუბლიკებს, ან არა და სულ ერთიანად გავწყდებით; მონადა და ყურ-მოჭრილ ყმად არავის გავუხდებითო».

ავსტრ-უნგრეთი. გალიციაში 70,000 კრონა შეკრიბეს პრუსიაში დასჯილ ყმაწვილების სასარგებლოდ.

✿ კრაკოვში მოვაჭრეთა საზოგადოებამ დაადგინა: ვეცადნეთ, რომ გალიციის მოვაჭრეებმა აღარაფერი აღარ იყიდონ გერმანიაშიო.

✿ პანგერმანისტების დეპუტატებმა ქაღალდი შეიტანეს პარლამენტში, რა სწადიან, რას აპირობს ჩვენი მთავრობაო. ქაღალდის ავტორები ჰკითხულობენ: მართალია, ვითომ იმპერატორს ეთქვას ერთი კაცისათვის: მზადა ვართ კონსტიტუცია გავაუქმოთო. ჰქონდა თუ არა კერბერს იმპერატორისაგან აღებული ნება-რთვა, როცა 26 ნოემბერს სიტყვა წარმოსთქვა და პარლამენტს დახურვას დაემუქრაო.

✿ გაზეთებს გაუგიათ, ვითომ კერბერს ერთ მებატონისათვის ეთქვას: რაც 26 ნოემბერს ვილაპარაკე, შევასრულებ კიდეც, თუ პარლამენტი რიგზე არ იმოქმედებსო.

✿ პოლონური გაზეთები სწერენ: გერმანელი ვაჭრები და ფირმები საშობაოდ პრეისკურანტებს უგზავნიან გალიციელ მოვაჭრეებს, მაგრამ პოლონელები ზედ აწერენ: «გერმანის საქმის გამო არ მივიღეთ» და უკანვე უბრუნებენ.

ავსტრალია. ახალი რესპუბლიკა სწრაფის ნაბიჯით მიდის წინა. ეხლაც ამბავი მოსულა, ავსტრალიაში ერთი მეტად საყურადღებო კანონი გამოუციათ. ახალმა ზელანდიამ დიდი ხანია დააწესა, რომ მრეწველთა და მუშებს შუა ატეხილი დავა განგებ ამ საქმისათვის დანიშნულმა სასამართლომ უნდა გაარჩიოსო. თანაც ორივე მხარე ვალდებულია, სასამართლოს დადგენილებას დაემორჩილოსო. ეხლა ამისთანა კანონი, მხოლოდ უფრო კარგად და გაბედვით შედგენილი, ახალ სამხრეთ-უელსსაც გამოუცია. ვიქტორიის შტატს გარდა, მთელ რესპუბლიკაში მრეწველობა არსადაა ისე განვითარებული, როგორც ახალ სამხრეთ უელსში. ახალ კანონს ძლიერ დიდხანს ადგენდნენ კანონმდებლებმა ჯერ ზედ-მიწევნით შეისწავლეს თუ როგორ მოქმედებდა ამნაირივე კანონი ახალ ზელანდიაში და შემდეგ თითონ უფრო კარგი კანონი შეადგინეს.

ნორვეგია. წელს პარლამენტმა დაადგინა, რომ სათემო არჩევნებში, სოფლებში თუ ქალაქებში, ქალებსაც არჩევნის უფლება მიეცესო. ახლა ქრისტიანიიდან იწერებიან: ახალი კანონის ძალით ქალებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ქალაქის საბჭოს არჩევანში. ქალების წყალობით ლიბერალებს 16 ადგილი დაუკარგავთ, სამაგიეროდ კონსერვატორებს 5 ახალი ადგილი შეუძენიათ, სოციალისტებს—7. ასე, რომ ქალების წყალობით ორივე უკიდურეს დასს—კონსერვატორებს და სოციალისტებს გაუმარჯვნიათ. ამას იქით ქრისტიანიის საქალაქო საბჭოში 14 სოციალისტი წევრი იქნება.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატაში გუშინ ქალაქის საქმეების გამო ბრალდებითი სიტყვა წარმოსთქვა ბ. ლემერმანმა. მის შემდეგ ვერმიშევის დამცველმა კრასოვსკიმ, ბოლოს არღუთინსკის დამცველმა ტისლენკომ. სხდომის გაგრძელება დანიშნულია დღეს, დილის ცხრა საათიდან.

◆ „ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ 10 დეკემბერს სხდომაზე დაადგინა გამოარკვიოს კაგკაგის სკოლის მდგომარეობა, რისთვისაც იქ გაგზავნა, საქმეების ადგილობრივ გასაცნობად, გამგეობის წევრი თავ. არ. ჯორჯაძე.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მ. რ. ზავადსკი წავიდა სტავროპოლში იქაურ სავაჟო გიმნაზიის დასათვალიერებლად და სწავლის შეწყვეტის მიზეზის გამოსარკვევად.

◆ გუშინ ტფილისის სახალხო სკოლების **დირექტორი** ნ. გ. დიმიტრიევი წავიდა გორის მაზრაში სახალხო სკოლების დასათვალიერებლად.

◆ ყარაიაში სასოფლო-სამეურნეო სადგურის გამგე ბ. ტარატინოვი მიწად-მოქმედების სამინისტრომ გაგზავნა ჩრდილოეთ **ამერიკაში ბამბის მოყვანის შესასწავლად.** ამ ჟამად ტარატინოვი პეტერბურგში დაბრუნდა და მალე ქალაქშიაც ჩამოვა.

◆ 10 დეკემბერს, საღამო 9 საათზე მოხდა საბჭოს ხმოსანთა „საზოგადო სხდომა და რადგანაც 10 საათის შემდეგ ხმოსანი პ. ი. ალიბეგოვი სხდომიდან გავიდა, ამიტომ ყველა აღძრული კითხვების გარჩევა არ შესდგა. რადგანაც კრებაზე ხმოსანთა დაუსწრებლობა და კრებიდან გაქცევა სენად გადაიქცა, რაც დიდად მოქმედობს საქმეების წინ სვლაზე, ამისთვის ხმოსნებმა გადაწყვიტეს, ამ კვირა კერძო რჩევა მოახდინონ ამ სენის თავიდან ასაცილებლად.

◆ უმთავრეს საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებიდანა სჩანს, რომ **ჯილდოდ დაურიგებიათ** გამოფენის გამო 52 საპატიო დიპლომი, 66 ოქროს დიდი მედალი, ოქროს პატარა მედლები 94, ვერცხლის დიდი მედლები—140 და პატარები—208, ბრინჯაოს მედალი—320, აგრეთვე რამდენიმე ქების ფურცელი.

◆ ქალაქის დებულების 129 მუხლის ძალით, დასაფასებელი გარდასახადი უძრავ ქონებაზედ უნდა გარდახდეს ამ მამულების წმინდა შემოსავლიდან არა უმეტეს 10 % და თუ ამის გადახდა შეუძლებელია, მაშინ უნდა გადახდეს არა უმეტეს 1% ქონების ღირებულობისა. ქალაქის თვით-მმართველობა ახდევინებს სახლის პატრონებს დასაფასებელ გარდასახადს ქონების ფასისაგან და ეს დადგენილი გარდასახადი უდრის $^3/_4$%. კერძო საჩივრის გამო საგუბერნიო მმართველობამ სცნო, რომ ეს **შემოღებული გარდასახადი** სწორე არ არის და ურჩია თვით-მმართველობას, გადაახდევინოს წმინდა შემოსავლიდან, და თუ გაჭირდა ღირებულ ფასიდან. ამის გამო ქალაქის მმართველობამ შეიტანა საბჭოში მოხსენება, რომლიდანაცა სჩანს, რომ ბევრი ქალაქები (ასტრახანი, ყაზანი და სხ.) ხმარობენ ასეთსავე ღონისძიებას დასაფასებელი ხარჯის შეკრებისას, როგორც ჩვენი ქალაქი. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ შეცვლის შემდეგაც ერთი და იგივე გამოდის, რადგანაც $7^1/_2$ ($^3/_4$%) გადახდევინება წმინდა შემოსავლიდან უდრის ღირებულ ფასს $^3/_4$ %. ამისათვის ქალაქის საბჭომ უარ-ჰყო მმართველობის წინადადება შესახებ ხარჯის გადახდევინებისა.

◆ როგორც იტყობინებიან, 9 დეკემბერს, საღამოს 9 საათზედ ბაკურიანის რკინის გზის შტოს მე-84 პიკეტზედ **დიდი ზვავი** ჩამოწვა, 300 კუბ. საჟენამდის. გზა სულ დაჭერილია, მატარებლების მიმოსვლა შესწყდა.

◆ ნავთლუღიდან იტყობინებიან, რომ 10 დეკემბერს, დღის 1 საათ. და 40 წამ. 295 ვერსზედ, რკინის გზის ხიდ ქვეშ **იპოვნეს ჩამომხრჩვალი** დოლიძე. ჩამოხრჩობის მიზეზი არ იციან.

◆ როგორც გადმოგვცეს, ტფილისში, რიყეზე, მეწველ **ძროხებს ჭირი** გაჩენია. საბეითალო მმართველობას შესაფერისი საშუალებანი მიუღია.

◆ ქალაქის საბჭოში დამტკიცდა ხარჯთ აღრიცხვა ლომბარდის **შემოსავალ-გასავლისა** 1902 წლისა. საზოგადოდ შემოსავალი უდრის 37,657 მან. 32 კაპ., ამ წლისაზე 17,404 მან. და 70 კაპ. მეტი. გასავალი გამოანგარიშებულია 28,670 მან., ამ წლისაზე 12,920 მან. და 45 კაპ. მეტი ხარჯის გადიდება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ მომავალ წელს ლომბარდს სჭირია 9,000 მან. ვალის გასასტუმრებლად, ხოლო დანარჩენი შტატის გასადიდებლად და სხვა ხარჯებზე. ამასთანავე საბჭომ უარჰყო ლომბარდის წინადადება შესახებ კასირის თანაშემწის თანამდებობის დამტკიცებისა, და ამასთანავე წინადადება მისცა მმართველობას, იფიქროს მაზე, რომ მალე წარმოადგინოს საბჭოში შტატის შეცვლა ქალაქის თვით მართველობაში.

◆ ტფილისის ქალაქის თავის მოადგილემ მიმართა ბ. გუბერნატორს, რომ მან ნება დართოს ქალაქს, რათა ქალაქმა სისრულეში მოიყვანოს საბჭოს გადაწყვეტილება შესახებ მომავალი წლის **ხარჯთ-აღრიცხვის ნარჩენისა,** სულ 2600 მანეთისა, საიდანაც 1000 მან. უნდა მიეცეს ხელოვნების სასწავლებელს, 1000 მან. საჩუქრად იმ პირს, რომელმაც აღმოაჩინა ქალაქის კასის გამძარცველნი და 600 მან. მესამე სესხის ობლიგაციების გამოცემის ხარჯად.

◆ როგორც ჩვენ ვიცით, განსაკუთრებულმა კომისიამ შეიმუშავა პროექტი საამშენებლო ნაწილის **24 პარაგრაფის შეცვლისა.** ამ პროექტის საბჭოში განხილვის წინად იგი უნდა დაისტამბოს და დაურიგდეს ხმოსნებს.

◆ გამგეობის წევრის თ. ჩერქეზიშვილის მოხსენება ზოგიერთი მუხლების შეცვლის შესახებ **ქალაქის წყლის** მილისა და აგრეთვე აღძრული კითხვა იმაზე, რომ რიყის მცხოვრებთ უნდათ წყლის მილები გაიყვანონ, გარდაეცა განსაკუთრებულს კომისიას განსახილველად.

ქუთაისის ახალი ამბები

〰 ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგუბერნიო საგანგებო კრება დანიშნულია ქუთაისში დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში 21 დეკემბერს, დილის 10 საათზე. კრებამ უნდა აირჩიოს დეპუტაცია, რომელიც თავად-აზნაურობის მაგიერ მადლობას უძღვნის ხელმწიფე იმპერატორსა და დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, და უნდა დაამტკიცოს ხელმწიფე იმპერატორისადმი და დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზისადმი ადრესები. ამასთანავე კრებას მოხსენდება საქმე [illegible] დაგირავებულის ხარაზოვის სახლის შეღავათიან პირობით ყიდვის შესახებ.

〰 ქუთაისის გუბერნიის ტყის მცველების უფროს რევიზორს ა. მ გუჩინოს მებაღეთა კრებაზე მიუსაჯეს ოქროს მედალი ქაღალდის «სოას» მოვლა-გაშენების შესახებ შედგენილ მოხსენებისათვის.

〰 ქუთაისის საქალაქო სასწავლებელს კავკასიის სამეურნეო გამოფენაზე მიუსაჯეს ქების ფურცელი მეაბრეშუმეობის ნაწარმოებისათვის. რამდენათაც ჩვენ გვახსოვს, ხსენებულ სასწავლებელს ბათუმის გამოფენაზე შარშან მისცეს დიდი ვერცხლის მედალი მეაბრეშუმეობის ნაწარმოების კარგ თვისებისათვის. მეაბრეშუმეობას ქუთაისის საქალაქო სასწავლებელში ასწავლის ინსპექტორი ბ. მიტარევსკი, აბრეშუმის გრენის დამზადებას, ჭიის მოვლას და სხვას და მართლაც, როგორც სპეციალისტები ამბობენ, უფ. მიტარევსკის გრენის დამზადების საქმე რიგიანად აქვს დაყენებული, ასე, რომ ეს დარგი სასოფლო მეურნეობისა ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში გაცილებით უფრო დაბლა სდგას. მომავალ მეურნე-მეაბრეშუმეთ არც კი იციან, რა არის მიკროსკოპი ან რა და რა სნეულებისაგან გამოიწვევა აბრეშუმის ჭიის და პეპლის ავადმყოფობა. საქალაქო სასწავლებლის უფროს კლასების მოწაფეებმა კი ყველა ეს შედარებით კარგად იციან. მაშ როგორ მოხდა წელს, რომ ერთი და იმავე თვისების ექსპონატში ერთი შეუდარებელი ჯილდო მიუსაჯეს თითქმის ერთ და იმავე დამფასებლებმა?

〰 ეს რამდენიმე დღეა, რაც ქუთაისში განუწყვეტლივ წვიმს და ცივი ქარი ჰქრის. ამბობენ, მთელს დასავლეთ საქართველოშიაც ძლიერ ცუდი ამინდები სდგას, რის გამოც ზოგიერთ სოფლებში მიწის საზამთროდ დამუშავება შეწყვეტილიაო.

რუსეთის ქრონიკა

∝ საერო განათლების სამინისტრო აცხადებს შემდეგ ცნობებს გიმნაზიების შესახებ: ამ ჟამად რუსეთის იმპერიაში სულ 187 გიმნაზია არსებობს; მათში მერვე კლასის მოწაფე წელს იყო—4355 კაცი; ამათგან კურსი დაასრულა და შესაფერი მოწმობა მიიღო 4108 კაცმა, ოქროს მედალი მიიღო 266 ყმაწვილმა, ვერცხლის—225, ეგზამენი ვერ დაიჭირა 132 მოწაფემ, ცუდი ნიშნები მიიღო 474-მა.

∝ ცენტრალურ სასტატისტიკო ბიუროს ცნობებით, ფინლიანდიაში 2,702,077 მცხოვრები ყოფილა.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება*)

9 დეკემბერს დილითაც იყო სხდომა და საღამოთაც და ღამის 1-ლ საათზედ გათავდა. ორივე სხდომაზედ კიდევ ის დაუსრულებელი კამათი იყო, თუ რა დაწესებულებას მოახმარონ ნაბოძები ფული.

თელავის მაზრის წინამძღოლი თ. ჩოლოყაშვილი როგორც თავისით, აგრეთვე თელავის თავად-აზნაურთა მინდობილობით ითხოვს, რომ თელავში იქნეს დაწესებული მოსამზადებელი კლასები მცირე წლოვან ბავშთათვის შეუძლებელ თავად-აზნაურთა. ამ აუცილებელ საჭიროებას თავ. ჩოლოყაშვილი ასაბუთებს როგორც თავად-აზნაურთა ხელ-მოკლეობით, აგრეთვე იმითი, რომ კახეთი, სხვა მხარეებთან შედარებით, მოწყვეტილია ტფილისზე უგზოობის გამო, რის გამოც შეუძლებელ თავად-აზნაურთა ბავშვები რჩებიან სახლში უსწავლელად და უმეცრად. გორის მარშალი კიდევ თავისას ითხოვს, რომ გორის მაზრაში დაწესდეს სასწავლებელი. ბ. ნ. ცხვედაძე, ვრცელს სიტყვაში განმარტავს რა იმ მოსაზრებათა, რომელთაც კომისია ხელმძღვანელობდა, როდესაც ფულს ანაწილებდა საჭიროებათა მიხედვით, ამბობს, რომ უკეთესად ფულის განაწილება ყოვლად შეუძლებელი იყო: ამ განაწილებით ყველა მოსწავლე გაჭირვებულ ახალგაზდათ აღმოეჩინება ასე თუ ისე დახმარება როგორც უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლე ქალთა და კაცთა, აგრეთვე საშუალო და დაბალ სასწავლებლებშიო. ბ. ცხვედაძემ რამდენიმე მაგალითიც მოიყვანა და საზოგადოებაც დაიმოწმა, რომ ბევრ წარჩინებულ ყმაწვილს სწყურიან სწავლა, მაგრამ ის ამას მოკლებულია ხელმოკლეობის გამოო. საზოგადოებამ მოიწონა ბ. ცხვედაძის სიტყვა და გათავების უმალვე სთხოვა თავმჯდომარეს, რომ კენჭი ეყარათ ამ კითხვისათვის. მთელი ორი დღის ბაასი ეხლა'ამ დასკვნამდის მივიდა, რომ მხოლოდ ორი კითხვა და უნდა გადაწყვეტილიყო: კომისიისაგან შემუშავებული პროექტი თუ ტფილისში პანსიონ-თავშესაფრის დაარსება. ცხადად ეტყობოდა, რომ საზოგადოება პირველ კითხვას, ე. ი. კომისიის პროექტს, უფრო თანაუგრძნობდა და, კენჭი რომ ეყარათ, ეს კითხვა გავიდოდა, მაგრამ აქ ბ. გუბერნიის მარშალმა მიჰმართა კრებას და მოახსენა, რომ აქამდის მე ყველასა გთხოვდით, თქვენი აზრი წარმოგეთქვათ აღძრული საგნის შესახებ და ყველამაც ბრძანეთ, რაცა გნებავდათ, ეხლა დავრჩი მარტო მე, რომ ჩემი აზრი არ წარმომითქვამს; გთხოვთ, ნება მიბოძოთ, რომ მეც, შემდეგ ყველა თქვენგანისა, მოგახსენოთ ჩემი აზრი. გრძელს და მშვენიერს სიტყვაში თ. მელიქიშვილმა გამოხატა, რომ ის გულით თანაუგრძნობს ყოველ აქ დასახელებულს დაწესებულებას თავად-აზნაურთა შვილების აღზრდისათვის, მაგრამ ითხოვს, რომ ფული არ დაწვრიმალდეს, ათასად არ გაიყოს და მთლად ერთ რამე დაწესებულებას მოხმარდეს, სტიპენდიები იქნება ესა, სამეურნეო სასწავლებელი, თავშესაფარი თუ სხვა რამე,—მხოლოდ ერთს საგანს მოხმარდეს ეს ფული, რომ მტკიცე და მკვიდრი საფუძველი იქონიოსო. სხდომამ ბოლოს კენჭი უყარა ამ ორ კითხვას, ეხლა გადაწყდეს აღძრული კითხვები თუ შემდეგ მომავალ კრებაზედ. 28 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 26-ისა გადაწყდა, რომ ამ საგანზე მოილაპარაკონ მომავალ კრებაზე. ამასთანავე სხდომამ დაადგინა, კომისიის პროექტი გადსცენ მაზრის მარშლებს, რომელნიც თავის მაზრის თავად-აზნეურებთან ერთად განიხილავენ პროექტს და შემდეგ საზოგადო კრებაზე წარმოადგენენ თავიანთ დასკვნას.

ამასთანავე კრებამ დაადგინა იშუამდგომლონ, სადაც ჯერ არს, იმის შესახებ, რომ გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგი კრების მოწვევა მოხდეს 1902 წლის დეკემბერში ბანკის რწმუნებულთა კრებასთან ერთად. შემდეგ კრებამ დაამტკიცა ხელმწიფე იმპერატორისა და დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოოზისადმი ადრესები და აირჩია დეპუტაცია, რომელმაც უქვეშევრდომილესი მადლობა უნდა მოახსენოს ხელმწიფე იმპერატორს წყალობისათვის; დეპუტაციას შეადგენენ: გუბერნიის და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, შემდეგ თავადები—ი. გ. ამილახვარი, გ. ს. ხიმშია'შვილი, ბ. ო. ჩოლოყაშვილი, დ. ა. სუმბათაშვილი, ი. ს. ჭავჭავაძე, რ. კ. ვაჩნაძე, ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ი. დ. აფხაზი, ვ. გ. მაჩაბელი, ი. გ. ჭავჭავაძე, ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ზ. გ. ერისთავი.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა საგანგებო კრება

საგანგებო კრება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა, როგორც მოხსენებული გვქონდა, შესდგა 10 დეკემბერს ბანკის დარბაზში. ეს კრება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ბანკის რწმუნებულებმა (ამ ხანად 24 კაცი იყო, რომელთაც მოხსენებაზე ხელი ეწერათ) ზედამხედველ კომიტეტს წარუდგინეს მოხსენება, რომელიც სამი მუხლისაგან შესდგება, და სთხოვეს, იშუამდგომლონ წინაშე საფინანსო სამინისტროსი, რომ მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნას. კრებას თავმჯდომარეობდა გუბერნიის მარშალი თ. დავით მელიქიშვილი; კრებას აგრეთვე სრულიად დაესწრო ბანკის გამგეობა თავის თავმჯდომარით. რწმუნებულთაგან წარდგენილია შემდეგი კითხვები:

1) იშუამდგომლონ სამინისტროს წინაშე, რომ თავად-აზნაურთა ბანკს მიენიჭოს ისეთივე უფლებანი შესახებ გირავნობის ფურცლების ადგილობრივ გამოცემისა, როგორც საკრედიტო საზოგადოებასა აქვს.

პირველმა კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია. საქმის მცოდნენი ამტკიცებდნენ, რომ შესაძლებელია, ეს თხოვნა შეგვისრულონ, მაგრამ სხვა საქმეში, შეიძლება, შეგვავიწროვონ და, გარდა ამისა, სხვა მოსაზრებათა მიხედვითაც, მაინც და მაინც ამ თხოვნის შესრულება ანუ, უკეთ ვსთქვათ, აღძვრა ჩვენთვის ხელსაყრელი არ არისო. შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა, კრებამ დაადგინა, რომ ეს კითხვა განხილულ იქმნას პირველს შემდეგ კრებაზე— უფრო შემუშავებული და დასაბუთებული.

2) იშუამდგომლონ მაზედ, რომ სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცლები მიიღებოდნენ ზედდებულ ფასად გაბათილების დროს ანუ მაშინ, როდესაც ხსენებულ ბანკში გადმოაქვთ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში დაგირავებული მამულები. ამ კითხვამაც ბევრი კამათი გამოიწვია. ეხლაც, როგორც ყოველთვის, კრება ორ უმთავრეს ჯგუფად გაიყო. აქაც რაღაც შიში შეეპარა კრებას, რომ ვაი თუ „თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო". ბოლოს 25 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 5-სა გადაწყვიტეს დაავალონ ზედამხედველ კომიტეს შუამდგომლობა ამ საგნის შესახებ.

3) მესამე კითხვა შეეხებოდა 104 პარაგრაფს წესდებისა. ეთხოვოს ფინანსთა მინისტრს, რომ გამოგვირკვიონ, როგორ უნდა გვესმოდე', წესდების 104 მუხლის ძალით.

ეს კითხვა, სხვა-და-სხვა მოსაზრებათა გამო, უარ ყოფილ იქმნა. ამით დასრულდა სხდომა ღამის მეორე საათზე.

ტფილისის სამოსამართლო პალატა

ტფილისის ქალაქის მოურავის, კოლ. სოვ. გიორგი გრიგოლის ძის ევანგულოვისა (აწ გარდაცვალებულის), ქალაქის გამგეობის წევრთ: გუბ. სეკრ. ევგრაფ იაგორისძის ხოსროევისა, კოლ. რეგ. თავ. ალექსანდრე მიხეილის ძის არღუთინსკი-დოლგორუკოვისა და ამავე გამგეობის წევრად ყოფილთ—სტატსკი სოვეტნ. აპოლონ ათანასეს ძის ივანენკოსი და ტიტ. სოვ. ქრისტეფორე ავაქუმის ძის ვერმიშევის საქმე, რომელთაც ბრალი ედებათ სამსახურის დროს დანაშაულის ჩადენისა

სხდომა 8 დეკემბერს

თავ. არღ.-დოლგ. კითხვებზე: სანამ მე ჩავდგებოდი ჩემს თანადებობაში, გამგეობა კვიტანციების წიგნებს არ სინჯავდა; შემდეგში ამ საქმისათვის და ამ წიგნების ანგარიშის დასაჭერად ცალკე კაცი მოიწვია გამგეობამ. ხშირად მოიწვევდით ხოლმე აგენტებს თქვენს კაბინეტში და იმათთან ერთად სიას ადგენდით იმ მამულების პატრონთა, რომელთზედაც დარჩენილი იყო გადაუხდელი ხარჯები; დარიგებასაც აძლევდით, როგორ უნდა შეეკრიბათ ეს ხარჯები. ხორცის დაღადვა თქვენის მეცადინეობითაა შემოღებული და ამის წყალობით საკლავის საქმეც დიდად გაუმჯობესდა და ფარულად საქონლის დაკვლაც მოისპო, მას შემდეგ უფრო, როცა თქვენ თვითონ ჩამოიარეთ ხოლმე ბაზარი და დაათვალიერეთ ყასბები. მახსოვს ერთხელ ამგვარ დათვალიერების დროს 10 ფარული საყასბო აღმოაჩინეთ. ხანდისხან შემცდარი ცნობებიც მაგიწოდებიათ აგენტებისათვის, მაგრამ განზრახ, გინდოდათ შეგეტყოთ რას მოგახსენებდნენ აგენტები. საკვირაო გარდასახადის წეს-რიგის შეცვლაში თქვენ მიგიღიათ დაახლოვებით მონაწილეობა; ხშირად პირადაც დაგივლიათ ბაზარი და თვითონ გამოგიცხადებიათ ფასები. სალდათის ბაზრის ვაჭართაგან ორი საჩივარი მოუვიდა გამგეობას, მაგრამ გამოვიკვლიეთ და ორივე უმართებულო გამოდგა. შესაძლებელი იყო მარკები მეორე უბნის აგენტისათვის გამოერთვას რომელსამე აგენტს და თვითონ დაეხარჯოს.

ხოსროევის კითხვაზე: მე მქონდა იმ არენდატორების სია, რომელნიც ქალაქთან წერილობითი პირობებით იყვნენ შეკრულნი, მაგრამ მე ამათ ცოტა ყურადღებას ვაქცევდი—ჩემი მოქმედება უფრო იქ იყო საჭირო, სადაც ნაკლები იმედი იყო, რომ ხარჯი სრულად შემოვიდოდა.

ვერმიშევის კითხვაზე: ნავთლუხის ნავთი მხოლოდ კუპრად, ან ფისად თუ იხმარება, სხვა რამედ არ გამოდგება; მომხდარა, რომ გამვლელებს ამოუღიათ ამ ადგილებში ნავთი და წაუღიათ, ისიც ძლიერ ცოტა.

მოწმ. **ამოიანცმა, ხაჩატუროვმა, ცოგანაროვმა** და **ციხისტოვმა** აუხსნეს პალატას საკვირაო და ურმებზე დაწესებულ გარდასახადების ვითარება: სად რამდენს ახდევინებდნენ, რისთვის ახდევინებდნენ, ვინ იყო შემმოწმებელი აკრებილის ხარჯებისა და სხვა. ამათი ჩვენება იმასვე ამოწმებდნენ, რასაც წინად ჩამოთვლილი მოწმები ამბობდნენ.

მოწ. **ბარბარე გასპაროვისა**—გამგეობაში მოსამსახურეა.—მე მებარა აგენტებზე გასაცემი მარკების წიგნები და საზოგადოთ ამის ანგარიში; ცალკე დავთარი გვქონდა, სადაც აღვნიშნავდით ვის რამდენი წიგნი მივეცით მარკებითა. ეს დავთარი **1897** წელში არ იყო წლის ბოლომდე დასრულებული, შევავსეთ შემდეგ წელში.

პროკურორის კითხვებზე: მარკის წიგნების გარდა, სხვა ხარჯების წიგნების დარიგებასაც აღვნიშნავდით, თუ კი აგენტს წიგნი მიჰქონდა. 1897 წელში ეს დავთარი აპრილის თვეზე გაჩერდა, მერე აღარ იყო ჩაწერილი იქ სახარჯო წიგნების დარიგება. შემდეგში, როგორც ვსთქვი, ეს წიგნი შევსებული იყო.

ნაფ. ვექილის **ტასლენკოს** კითხვებზე: აგენტი რომ სახარჯო წიგნებს წაიღებდა, ამის ბარათი უნდა მიეცა; ამ ბარათებს მე ვინახავდი. დღიურ შემოსავლის ცნობები მომხდარა, შემიდგენია ჯამადარისათვის. ისიც მომხდარა, რომ სამუშაო შემდეგისათვის გადამიდვია, რადგან ხანდისხან ძალიან ბევრი საქმე მოგვაწვებოდა ხოლმე კანცელარიაში.

8 დეკემბრის სხდომა ამით დასრულდა საღამოს 8 საათზე.

9 დეკემბრის სხდომა

სხდომა დილის 9 საათზე დაიწყო. მეორე დღეს მოწმებს ჰკითხავენ. პროკურორის მხრით გამოწვეული იყო, როგორც აღვნიშნეთ, 26 კაცი. პირველ დღეს ამათგან მხოლოდ 10 კაცის გამოკითხვა მოასწრეს.

მოწ. **ტერ-მიქელოვი**, გამგეობის კასირად ყოფილი: მარკების წიგნებსა და სხვა დავთრებს კასიდან ვაძლევდით სავაჭრო პოლიციის აგენტებს, ხელწერილს ჩამოვართმევდით მიღებისას და როცა დახარჯავდნენ, ამ წიგნების ჩამონაჭერს ისევ კასაში წარმოადგენდნენ. ამოწმებდა ამ წიგნებს ვინმე, თუ არა—არ ვიცი, გამიგონია კი ამოწმებდნენო. აკრებილ ფულებს აგენტები ჯამადარს წარუდგენდნენ და ეს უკანასკნელი კი კასას წარმოუდგენდა თავის მოხსენებით. ორჯელ თუ სამჯერ მომხდარა, რომ ჯამადარმა მოხსენება წარმოადგინა, მაგრამ ფული ორი-სამი დღის შემდეგ წარმოუდგენია, როგორც მახსოვს, იმიტომ რომ უქმე დღეები შეხვედრია და ამის გამო ბუხჰალტერიაში მოსამსახურეები არ ყოფილან.

ნაფიც. ვექილ. **ტასლენკოს** კითხვებზე: ჯამადარს თავისთვის ცალკე ზანდუკი ჰქონდა კასაში და იქ ინახავდა აგენტებისაგან მიღებულ ფულს. რამდენჯერმე ისე წარმოუდგენია ფული ჯამადარს, რომ წერილობითი მოხსენება არ ჰქონია, მაგრამ ამ შემთხვევაში კვიტანციას არ ვაძლევდით კასიდან, სანამ ამ მოხსენებას არ წარმოადგენდა; მოხსენება კი უთუოდ ბუხჰალტერიას უნდა გაესინჯა და საბუხჰალტერო დავთრებთან შეედარებინა. გამგეობისაგან დაწესებული იყო, რომ ჯერ ბუხჰალტერიაში უნდა ორდერი შეედგინათ, უფროსის ზედამხედველის მოხსენების თანახმად, და მერე ამ ორდერით ფულიც უნდა მოსულიყო კასაში.

მოწ. **ერმიშევმა** (გამგეობის ბუხჰალტერი) თავმჯდომარის კითხვებზე დაწვრილებით განუმარტა პალატას, როგორ უნდა წარმოედგინათ ქალაქის სავაჭრო პოლიციის აგენტებს აკრებილი ფული ქალაქის კასაში. (პროკურორის კითხვებზე): დავთრებს წლის ბოლოს მე თვითონ შევამოწმებდი. მე მხოლოდ შემოსავალი უნდა გამესინჯა, თვითონ წიგნები რამდენად კანონიერად შედგენილი იყო—ეს ჩემი საქმე არ იყო. სანამ ფული კასაში მივიდოდა, ჯერ უნდა ორდერი დაგვეწერა და მერე ეს ორდერიცა და ფულიც კასაში მიდიოდა—უამისობა შეუძლებელი იყო. სახლებზე გარდასახად ფულის ორდერს უფრო მეტი დრო უნდება, ვიდრე სხვა გარდასახადების მიღებას. (ნაფიც. ვექილის **ტასლენკოს** კითხვებზე): მოვიდოდა თუ არა ჯამადარის დღიური მოხსენება, ჩვენ იმ წამსვე ორდერს დავამზადებდით, თუ შეცდომა აღმოჩნდებოდა რამე, ორდერის დაწერას შევაჩერებდით. სავაჭრო პოლიციის დავთრების შესამოწმებლად, მგონია 1898 წ. თებერვალში, მოიწვიეს ამისათვის განსაკუთრებითი კაცი, ესაიანცი, მაგრამ ის ერთთავად ამ საქმეზე არ მუშაობდა, მეც მიმუშავნია ამ საქმეზე დრო გამოშვებით. სამუშაო მეტად ბევრი გვქონდა, საღამოობითაც მოვდიოდით, ხშირად ღამის 1-ლ საათამდე ვრჩებოდით. დღისით იმდენი ხალხი მოგვაწვებოდა ხოლმე, სხვა-და-სხვა ხარჯების ჩასაბარებლად მოსული, რომ შეცდომა ზოგიერთ შემთხვევაში ადვილი იყო, როცა შევნიშნავდით—შევასწორებდით კიდეც, წავშლიდით დაწერილს და ახალს ჩავწერდით, მხოლოდ წაშლილს არ აღვნიშნავდით. ივანენკო იყო გამგებელი საბუხჰალტერო ნაწილისა. ცალკე წიგნაკი კი ჰქონდა თავისთვის, ჩვენც ცნობებს ვაწვდენდით.—მოიჯარადრეთა სიებიც იყო შედგენილი, ეს სიები ცალკე დავთარში იწერებოდა, რომელსაც ბუხჰალტერიის განყოფილება შეადგენდა ხოლმე. ხარჯთაღრიცხვასთან სწორედ ამ წიგნსაც წარვადგენდით. 1898 წელს ახალი წესები იქმნა შემოღებული აგენტებზე წიგნების დარიგების გამო და ბუხჰალტერიაში იცოდნენ, ვის რამდენი წიგნი მიჰქონდა. გამგეობის წევრის თავ. არღ.-დოლგ. განკარგულებით შედგენილი იყო სია იმ მოიჯარადრეთა, რომლებთანაც ქალაქს პირობები არა ჰქონია შეკრული. აგენტების ხეროდინოვისა და ყუზანოვის მიერ გაფლანგულის ფულის გამო მე ბევრი ვიმუშავე. ბუხჰალტერიაში ძლიერ ცოტა იყვნენ მოსამსახურენი, ვერ ასწრებდნენ სავაჭრო პოლიციისათვის დაწესებულ წიგნებს.

(შემდეგი იქნება)

კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენა

საპატიო დიპლომებით

დაჯილდოვებულ იქმნენ: ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი (აბრეშუმის სხვა-და-სხვა ნიმუშის ქსოვილებისა, მედურგლობა, ზეინკლობა და სხვა კარგ სახელოსნო ნაწარმოებისათვის), ტფილისის საპროფესიონალო დედათა სასწავლებელი (კარგის საცვლების დამზადებისათვის), ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობა (მისგან გამოფენაზე სხვა-და-სხვა ექსპონატების შეკრებისათვის და სხ.), ტფილისის მეორე კლასიკური გიმნაზია, ტფილისის პირველი ვაჟთა კლასიკური გიმნაზია, კავკასიის სამოს-

---

*) იხ. „ცნობ. ფურც." № 1667

წავლო ოლქი (ფართო და უმაღლეს წერტილამდე განმანათლებელ მოღვაწეობისათვის და სხ.), ოლქის ინსპექტორები შენგერი და ლოპატინსკი, ამიერ კავკასიის სამოსწავლო სემინარია გორში (აღზრდის საქმის კარგად დაყენებისათვის), კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფი კ. ა. იანოვსკი, ტფილისის დედათა წმ. ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების საბჭო (მისი დედათა განათლებაზე მუდამ ზრუნვისათვის), სააფთიაქო წამლებით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა (სამკურნალო საშუალებათა გავრცელებისათვის), დ. ზ. სარაჯიშვილი ტფილისში (კონიაკისა და სხვა სპირტის სასმელების წარმოების კარგად დაყენებისათვის), კავკასიის საუფლისწულო უწყება, კავკასიის სამოსწავლო ოლქის ეხლანდელი მზრუნველი ზავადსკი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი ა. ი. სლოვინსკი.

ოქროს დიდი მედლებით:

პრინცესა მიურატის მამული ქუთაისის გუბერნიაში (კანაფის დამზადება წარმოებისათვის), დ. ზ. სარაჯიშვილი (ღვინის სპირტისა და კონიაკისათვის), ი. ი. ფურცელაძე გორის მაზ. სოფ. მერეთში (მეურნეობისათვის), თავ. გ. ი. ორბელიანი (საჯდომ ცხენებისათვის), მ. გ. მელიქიშვილის (კარგი ჯიშის ქათმებისათვის), ამაღლების სამეურნეო საბაღოსნო სკოლა (მებაღეობა, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობისათვის), დ. ზ. სარაჯიშვილი (არაყისა, სპირტისა, კონიაკისა და სხვა სასმელების კარგის თვისებისათვის), გორის ანასტასიას სახელობის პროგიმნაზია (ხელსაქმეების კარგად სწავლებისათვის), ტფილისის ჭრა-კერვის სკოლა (ტანისამოსი), ქუთაისის დედათა უფასო სკოლა (ჭრა-კერვის კარგად სწავლებისათვის), ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოების ავლაბრის დედათა სასწავლებელი (კერვისა და უთოობისათვის), ბორჯომის სახელოსნო სკოლა, ახალციხის საქალაქო 4 კლასიანი სასწავლებელი (სადურგლო და სამჭედლო ხელოვნებისათვის), ტფილისის ბრმათა სკოლა (კარგის სამუშევრებისათვის), ტფილისის ალექსანდრეს ინსტიტუტი (ხატვისა და სხვა სამუშევრებისათვის), გ. მესხიშვილი ტფილისში (ლითოგრაფიული ნაწარმოებისთვის), გაბაშვილი (ადგილობრივ ცხოვრებიდან შემოქმედებითი ძალით სურათების შექმნისათვის); ტფილისის სამხატვრო სკოლა.

პატარა ოქროს მედლებით:

ოზურგეთის მაზრაში ა. და ე. შარაშიძის ციხის სასოფლო სამეურნეო 2 კლასიანი სკოლა, (მეღვინე მევენახეობისა და ამ დარგიდან ხალხში ცოდნის გავრცელებისათვის), წინამძღვრიანთ კარის სკოლა (საზოგადოდ მეურნეობისთვის), ბათუმის საქალაქო ბაღის მებაღე ხოშტარია (კარგი ჯიშის ხეების გაშენებისთვის), ილ. ით. ქანდიაშვილი (ხილეულობისთვის) დ. ზ. სარაჯიშვილი (პეკინის იხვების მოშენებისთვის), ალექსანდერდორფის კოლონია ბორჩალ. მაზრაში, ალ. ივ. საგინაშვილი ტფილ. მაზრაში (მატყლისათვის), ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა (აბრეშუმეულობის ნაწარმოებისათვის), მარ. ავეტ. სარაჯიშვილისა (ხელოვნურ ყვავილებისათვის), კავკასიის სააფთიაქო წამლებით მოვაჭრე ამხანაგობა (თათლობისათვის), ტფილისის საეპარქიო სანთლის ქარხანა (თაფლის სანთლისათვის), მიხეილის სატეხნიკო რკინის გზის სასწავლებელი ტფილისში, ტფილისის პირველი საკვირაო სკოლა (სწავლის კარგად დაყენებისათვის), ტფილისის მიწის მზომელ სასწავლებელი; ქუთაისის საპროფესიონალო ე. ა. კორძაიას სკოლა (დარაიებისათვის), ნადეჟდას ბავშვთა თავშესაფარი ტფილისში (რუსულ კრუჟევოებისათვის), ზემო ჭალის სასწავლებელი (ქსოვილებისათვის), ტფილისის რეალური სასწავლებელი (ხატვა ხაზვისა და სხვა ნაწარმოებთათვის) ტფილისის დედათა 1 გიმნაზია, ტფილისის საქალაქო 6 კლასიანი მეორე სასწავლებელი. მხატვარი თოიძე (ხატვაში ნიჭის გამოჩენისათვის (ТАЛАНТЪ) და ტფილისის მიხეილის სამკურნალო.

ვერცხლის დიდი მედლებით:

თავ. ერმ. კაც. ნაკაშიძე ქუთაისის გუბერნიაში (სამარხვო საჭმელ ხორბლეულობის კოლექციის შედგენისათვის თავის მამულში), ევსტ. სულხ. ჯავახიშვილი, მიხ. სოლ. ბოდოიშვილი (მეღვინეობისათვის), ტფილისის საბრეშუმო სადგურის მებაღე ზ. დ. პრილიპკო (სამყვავილესათ.) სამეგრელოს საქალაქო სასწავლებელი ფოთში (წიგნიანი ხე).

ტფილისის საბაღოსნო სკოლა, ახალ-ათონის მონასტრის ბაღი სოხუმის ოლქში (მებაღეობის) სოფ. ტყვიავი გორის მაზრაში. კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გამორჩევით ერთს ამ სოფლის მეურნე გლეხის ოჯახობას (მშვენიერ ხილის მოყვანისათვის), გ. ი. სერებრიაკოვი (ტყის მასალის წარმოება), თავ. გ. ი. ორბელიანი (ცხენი, კინემენლიკისათვის), ყარაიაზის სადედო მინდორი (ცხენისათვის), იკ. ივ. კეზელი სოფ. მუხიკალაში (შვეიცარიულ ყველისათვის), ალ. ივ. საგინაშვილი ტფ. გუბერნიაში (თუშურ ყველისათვის), ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია ხონში, (წერისა, ხატვისა და სხვ.), ტფილისის დედათა მესამე გიმნაზია (ხელ საქნარებისათვის), ტფ. დედათა წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელი (ხატვისა და კარგის ხელ-საქნარებისათვის), ტფ. ქალაქის სოფიის სკოლა საქველ მოქმედო საზოგადოების (ხელ-საქნარებისათვის), კეკიის ქალაქის სასწავლებელი (კერვა), ტფ. ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავ-შესაფარი), კარდანახის სამრევლო საეკლესიო სკოლა (ბაღიშის საპირებისა და სხვ.) ტფ. სახელოსნო სკოლა (ხელოსნობისათვის), ბათუმის ქალაქის თვით-მმართველობა (სავსებით კარგად დაყენებისა და სხვა საქმეებისათვის), ტფ. ვაჟთა მე-3 გიმნაზია, ტფ. მეორე დედათა გიმნაზია, გ. ჰ. ტატიშვილი ხარატულ ნაწარმოებისათვის), მხატვარი ნიკოლაძე და შელენგოვსკი და ამხანაგობა ბათუმში.

ვერცხლის პატარა მედლებით:

თავ. გ. მ. მელიქიშვილი (პურისათვის), ბ. გ. და ა. ი. ლუარსაბოვები კახეთში (მეღორეობისათვის), ი. ზ. ანდრონიკაშვილი (ღვინო), ი. ი. ჯორჯაძე, ყოშიაშვილი. ნ. რ. სესიაშვილი კახეთში, (ღვინოებისათვის). ტირძნისის ორ-კლასიანი სამრევლო საეკლესიო სკოლა (ბოსტნეულობის თესლისათვის), თავ. ციციშვილი გორში (თესლები), ზაქათალის უმცროსი სახელოსნო სკოლა (ნერგები) ქალაქის სანერგე ტფილისში, საცხენისის სკოლის სამეურნეო განყოფილება, ბათუმის სასწავლებლის საკრონოთ განყოფილება, მალანი სოხუმში (მეხილეობა), თავ. დ. ზ. მელიქიშვილი (ტყის მეურნეობის კარგად დაყენებისათვის), თავ. გ. ი. ორბელიანი (ცხენისათვის), ყარაიაზის საცხენო მინდორი (ცხენი), ქუთაისის გუბერნიის სოფ. ნოსვის მცხოვრები ჭიჭინაძე (ღორების მოშენება), რუსეთის ფრინველების მომშენებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილება, ნ. ტ. მკურნალი (აფთიაქის შედგენა), გ. ი. ალელოვი (ქათმების მოშენება), ახალციხის საქალაქო სკოლა (ჰოლანდიური ყველი), ახალ ციხის დიმაკის ამხანაგობა, პაღაიშვილი სოფ. ჭორვალი თიანეთის მაზრაში (ფშავურ ცხვრის მატყლისათვის), ბახვის ორ კლასიანი სოფლის სასწავლებელი გურიაში (კარგის მეცხოველეობისა, მეაბრეშუმეობისა, აბრეშუმის თესლისა და სხვ.), მანსურის სოფლის ნორმალური სკოლა), ნ. ი. მარკაროვი (ნადირობა), მასვე (ძაღლისათვის), თავ. ა. ნ. ორბელიანი (ძაღლებისათვის), თავ. ზ დ. აბრათაშვილი (კარგი მეძებარ ძაღლებისათვის), პავლე გვრიტიშვილი ტფილისში (სამთო ნაწარმოებთათვის) მიტროფანე ერმაზოვის ძეს ლადიძეს ქუთაისში (ხელოვნურ მინერალურ წყლებისათვის) სოხუმის დედათა პროგიმნაზია (თეთრეულისათვის), ქუთაისის დედათა წმ. ნინოს სასწავლებელი (თეთრეული), ზემო ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელი ახალშენი, ქვემო ჭალის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, ცინგილის სახელოსნო ტფილისში, ხაშურის ორ კლასიანი რკინის გზის სასწავლებელი, ახალსენაკის ნორმალური სასწავლებელი ქუთ. გუბერნიაში, ოზურგეთის ქალაქის სასწავლებელი, მხატვარი ნ. მრევლიშვილი (ტილოზე მხატვრობისათვის), ქ-ნი ოსიგავა (ხელოვნურად ფერადებით ამოქსოვილ «თამარისა და «დემონის» სურათისათვის), ვ. გ. უაშლანი ბათუმში, თავ. ი. მ. სუმბათაშვილი ტფილისში, ტფილისის სახელოსნო სასწავლებელი (ავეჯეულობისათვის), გ. ს. ფანდევი ბათუმში.

ბრინჯაოს მედლებით: ზ. ს. ზავრიშვილის მამული ტფ. გუბერნ., დ. შ. ნაფეტვარიძე ქუთაისის გუბ. (ბამბა) თავ. ტ. დ. ნაკაშიძე ქუთაისის გუბერნიაში, კნეინ. თარხნიშვილისა ტფ. გუბ. (მუხუდოსა და სხვა ოსპლებისათვის), თავ. გ. ნ. გეზირიშვილი, თავ. ერისთავი ქუთაისის გუბ. (ღომის და სხვ.) ი. ა. ხახუტაშვილი, საინოვი, სახიევი, ტარასოვი, გ. ა. მაყაშვილი კახეთში, ლეკუაშვილი იმერეთში, კაპანაძე იმერეთში, ალექ. გოცაძე იმერეთში და პრემია ძმ. ფრიდონოვების 30 მან. «გლეხის ღვინოსათვის», დ. ზ. სარაჯიშვილი ტფილისში, ივ. გ. ჯორჯაძე (ყველანი კახური ღვინისათვის), ხეთის და დაკვესამანის ნორმალური სკოლები, ცხინვალის ნორმალური სასწავლებელი (სანერგესათვის), ი. პ. ძაგანია მებაღე ტფილისში, გ. ნ. სხირტლაძე ტფილისში (ყველა საგნების კარგად მომზადებისათვის), გ. გ. მაჩაბელი (ხილის გახმობა), მ. ჯოხაძე (კონსერვების მომზადებისათვის), თავ. გ. ნ. გეზირიშვილი-ხაშურში (ხილის.), აწყურის სასოფლო სასწავლებელი ახალც. მაზრა, გ. რ. და ა. რ. ერისთავებს კარალეთში გორის მაზრა (ვაშლის 29 თვისებისათვის), თავ. დ. ს. ციციშვილი ზემო ხვედურეთ. გორის მაზრა (ატამისათვის), ხელთუბნის სკოლა გორის მაზრაში (კარგი ხილის მოყვანისათვის), თავ. გ. ი. ორბელიანი (ცხენი «ილტალისათვის»), გოგოლაური (ქათმებისათვის), ო. ანიევს ზაქათალაში, ა. დავითაია ოჩამჩირეში ქუთ. გუბ. (აბრეშუმი), მუსელიანი ქუთაისში (აბრეშუმისათვის), გ. გოგოლაშვილი ხონში (აბრეშუმის ქსოვილებისათვის), გურიის ამხანაგობა (შუამავალი) (აბრეშუმეულობისაგან საოჯახო მრეწველობის ნაწარმოებისათვის), დიდი ჯიხაიშის სასწავლებელი (აბრეშუმისათვის), დ. თ. ხიტროვი (მეფუტკრეობა), თავ. გ. გ. მაჩაბელი (მეფუტკრეობა), თავ კ. ა. წერეთელი (მეფუტკრეობა), თავ. მ. რ. ერისთავი (მეფუტკრეობა), კნ. ვ. ტ. ბებუთოვისას (მეფუტკრ.), ივანე ბებურაშვილი ტფ. (ნახატებისათვის), ტფ. დურგალთა ამხანაგობა «შრომა» (ავეჯეულობა), ი. დისამიძე (შკაფისათვის), კაცაძე ქუთაისში (ფეხ-საცმელი), კონსტ. წიპურიაშვილი ქუთაისში (თმისაგან ნაკეთობისათვის) ფარ. კაცაძე ქუთაისში (ქუდები), მართა სისაური თიანეთში (საფენისათვის), მართა ხიზანოვი იქვე (იმისთვისვე) კნ. ნ. ნ. თუმანოვისა (ხალიჩებისათვის), ქეთევან ისაკ. არსენაშვილი ტფ. (სურათების მოსართავისათვის), წყალობა პაპინოვი (ფეხსაცმლებისათ.), ტარ. დ. გაბუნია ქუთაისში (არაყისათვის); ტფ. გუბერნიის მექანიკოსი გ. გ. ხელიმსკი (ფეწოსათვის), ტფ. პირველ დედათა გიმნაზია (ხელ საქნარებისათვის), ტფ. რკინის გზის დედათა ორ-კლასიანი სკოლა (ბალიშის პირებზე ნაკერებისათვის), აწყურის სამრევლო საეკლესიო სკოლა, (ფენაქებისათვის და სხვ.), ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების დასაწყისი დედათა სკოლა; ზაქათალის უნცროსი სახელოსნო სკოლა, ს. გ. არდუთინსკი-დოლგორუკოვის პანსიონი ტფილისში, ახალ-გორის სოფლის სკოლა (კრუჟევოსათვის), ვერისა, ავლაბრის ქალაქის დაწყებითი სკოლები და პირველი საკვირაო სკოლა ტფილისში (თეთრეულისათვის), 2 რე საკვირაო სკოლა ტფილისში (ქსოვა-უთოობისათვის), კავკავის დედათა გიმნაზია (ხატვისათვის), სოხუმის საქალაქო სკოლა ხატვის სამუშევრებისათვის) ტფილისის დედათა წმ ნინოს სახელობის სასწავლებელი (ხატვისათვის), თავ. გ. და ნ. მ. მელიქიშვილები სადახლოში (კრამიტისათვის), ჯანუაშვილი ტფ. (კირისათვის), ტფ. ყარსის რკინის გზის სამმართველო (ფოტოგრაფიულ სურათებისათვის), და კავკასიის სააფთიაქო წამლებით სავაჭრო ამხანაგობა.

შემდეგი ხვალ.

საღამოს დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

11 დეკემბერი

პეტერბურგი. ორენბურგის ვიცე-გუბერნატორი სოკოლოვსკი დაინიშნა სემიპალატინსკის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად. ხელმწიფე იმპერატორმა სახსოვრად გენერალ სლეპცოვისა, რომელმაც შეადგინა სუნჟეთის კაზახების პოლკი, უმაღლესად ბრძანა კავკავის სუნჟენის პირველ პოლკს ამიერიდან ეწოდოს გენერალ სლეპცოვის პოლკი. კიევის კადეტთა კორპუსის 50 წლის იუბილეის გამო ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება დიდ მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის ხსენებულ კორპუსის სიაში შეტანა. 12 დეკემბერს უმაღლესის თანადასწრებით პარადი ექნება ფინლიანდიის გვარდიელების პოლკს პოლკის დღესასწაულის გამო. შავი ჭირის კომისიამ დაადგინა მიიღოს 10 დეკემბრიდან შემდეგი სანიტარული ზომები: 1) დათვალიერება ბათუმიდან მომავალ გემებისა და სანიტარულ თვალყურის დება რკინის გზის მგზავრებისა, 2) ექიმების საყალდებულო ყოლა გემებზე. ამასთანავე კომისია საჭიროდ სცნობს არ შესცვალოს შემდეგი ზომები: 1) მოქმედება სანიტარულ კომისიებისა შავი ზღვის ახლო მდებარე გუბერნიებში და 2) დათვალიერება შავი ზღვის ნავთსადგურებ შუა მომავალ გემებისა ნავთ-სადგურში მოსვლის დროს.

ოდესა. უეცრად გარდაიცვალა ტრამვაის ვაგონში არტილერიის უფროსის თანაშემწე გენერალი ვ. ვ. ბელოვოლსკი.—მზრუნველის განკარგულებით კიშინიოვის სასწავლებელში შეწყვეტილია სწავლა ქუნთრუშისა და დიფტერიტის მიზეზით.

კიევი. კიევის კადეტთა კორპუსის დღესასწაულის დღეს დილის 9 საათზე კორპუსში მობრძანდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. სასწავლებლის ეკლესიაში ყოვლად სამღვდელო სერგიმ გადაიხადა წირვა და პარაკლისი. 12 საათზე გამოიტანეს დროშები, გაიარეს მარშით და დროშები ისევ შეიტანეს. შემდეგ შესდგა აქტი, რომლის დროსაც ჯილდოები დაურიგეს მოსწავლეებს. აქტის შემდეგ გაიმართა სადილი. დიდმა მთავარმა პირველად დალია ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო, რომელსაც ალტაცებულის ურაათი მიეგებნენ. შემდეგ გენერალ გუბერნატორმა დიდი მთავრის სადღეგრძელო დალია. სადილზე ბევრი სადღეგრძელო იყო წარმოთქმული.

ლონდონი. საღამოს გაზეთების ცნობებით, 8 დეკემბერს მაიორ მაკ-მიხანს, რომელსაც თან ახლდა 90 ჯარის-კაცი, თავს დაესხა გაალის ჭალაში ბურების რაზმი, რომელიც უფრო მრავალ რიცხოვანი იყო. ძლიერის ბრძოლის შემდეგ ინგლისელები უკუაქციეს. დაუჭრეს ინგლისელებს 2 აფიცერი და 5 ჯარის-კაცი.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

Открыта подписка на 1902 годъ
НА ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЖУРНАЛЪ
ФОТОГРАФИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ.
Ред.-изд. А. ф. РЕЙНЕ. Москва.
Органъ Русскаго Фотографическаго Общества въ Москвѣ.
Ноябрь 1901. Изданія годъ VII-й. Ноябрь 1902.

Статьи по всѣмъ отраслямъ фотографіи и ея примѣненій, оригинальныя и переводныя.
Рефераты, читаемые въ собраніяхъ Русскаго Фотографическаго Общества въ Москвѣ.
Иллюстраціи и рисунки въ текстѣ.
Сообщенія о дѣятельности русскихъ и иностранныхъ фотографическихъ обществъ.
Отдѣльныя художественныя приложенія и интернаціональные образцовые портретные снимки, печатаемые съ негативовъ на бромосеребряной бумагѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годъ—5 руб., на полгода—3 руб. съ пересылкой. Отдѣльные нумера—1 руб.
Подписка принимается въ конторѣ редакціи: Москва, Кузнецкій мостъ, № 3, и во всѣхъ книжныхъ торговляхъ и складахъ фотографическихъ принадлежностей по всей Россіи.
РЕДАКЦІЯ: Москва, Большая Тверская, соб. д., № 25.
Оставшіеся отъ прошлыхъ годовъ полные экземпляры журнала „Фотографическое Обозрѣніе“ можно получать въ редакціи по слѣдующимъ цѣнамъ: Изданія годъ I—3 руб.; II и III по 4 руб.; IV, V и VI по 5 руб. съ пересылкою. (Ѳ. з—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Декабря 1901 г.

ელექტრონით მოძრავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის.